საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

,,თამარ ქალი“

,,თამარ ქალი“, საყოფაცხოვრებო შინაარსის ქართული (რაჭული) ხალხური საფერხულო ცეკვა. ასახავს ჩერქეზების მიერ რაჭველი ქალის, თამარის მოტაცების ამბავს. ქალისათვის შეუფერებელი ძალ-ღონე და წონა, რითაც გამოირჩეოდა მოტაცებული, ცეკვას სახუმარო ხასიათს აძლევს. ფერხული სრულდება ქალ-ვაჟთა შერეული ჯგუფის მიერ ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუს. ზომა 3/4.

ლიტ.: თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართული ცეკვის განმარტებანი, თბ., 1986.

ა. თათარაძე